პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 9 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# კომუნისტი

№ 152 (850) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## გულმოდგინე სწავლით ემზადე მომავალ მუშაობისათვის!

დრო რომელიც კიდევ უნდა დაჰყონ ყაზარმაში შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებმა არც ისე დიდია. ეს გარემოება მათ კარგათ უნდა გაითვალისწინონ და აი რატომ.

დატოვებენ რა წითელი ჯარის რიგებს, ისინი მოვალენი არიან არა ნაკლები ენერგიით და გულმოდგინებით აწარმოონ საზოგადოებრივი მუშაობა სოფლად.

ყველამ ვიცით რომ ჯარში მომავალ და ჯარიდან მიმავალ წითელ-არმიელებს შორის დიდი განსხვავებაა. წითელ ყაზარმაში წითელ-არმიელი იძენს ცოდნას, პოლიტიკურ მომზადებას, ეჩვევა კულტურულ მუშაობას-ერთი სიტყვით სამხედრო მომზადებასთან ერთად ის ღებულობს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აღზრდას.

ის უკვე აღარ წარმოადგენს ერთ-კითხვის უცოდინარ, უსწავლელ, პოლიტიკურად და კულტურულად მოუმზადებელ და ჩამორჩენილ მოქალაქეს. სახლში ის ბრუნდება უკვე როგორც შეგნებული და მოწინავე კულტურული ძალა. უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელის წმინდა მოვალეობაა წითელ არმიის რიგებში მიღებული ცოდნა მოახმაროს სოფლის აღორძინებას და მის წინ წაწევას სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე. უვადო შვებულებაში წასულმა წითელ არმიელმა მხნედ უნდა ამოუდგეს გვერდში კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას და ხელი უნდა შეუწყოს დასახულ ამოცანების განხორციელებაში. დღეს კი სოფლად ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ბევრი კულტურული მუშაკია საჭირო.

ასეთები კი ძლიერ ცოტა მოგვეპოება.

ერთ-ერთ წყაროს, რომელიც იძლევა ახალ კულტურულ ძალებს სოფლებისთვის, წარმოადგენს წითელი არმია.

ეს კულტურული ძალებია უვადო შვებულებაში მიმავალი წითელ არმიელები. მათ ბევრი რამეს გაკეთება შეუძლიათ. მხოლოდ იმ პირობით, თუ აქ წითელ ყაზარმაში გულმოდგინეთ იმეცადინებენ, ენერგიულად მოემზადებიან, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ-კულტურულ დარგში.

ამიტომაც შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებმა ერთი ორად უნდა გააჩაღონ თავისი მუშაობა პირველ ყოვლისა სამხედრო მომზადების და შემდეგ პოლიტგანათლების საქმეში.

მხოლოდ დაუღალავი, ენერგიული მუშაობით და მეცადინეობით წითელ ყაზარმაში, ისინი შესძლებენ იმ საპასუხისმგებლო მუშაობის წარმოებას, რომელიც მათ მოელის სოფლად სახლში დაბრუნებისას.

ამრიგად მათი სადღეისო ლოზუნგია: გაძლიერებული სწავლა და მზადება მომავალ მუშაობისათვის!

# ახალი რადიო-ამბები

## ბარმატის საქმის გარშემო.

### მენშევიკების მექრთამეობა.

პრუსიის მთავრობის კომისიამ, რომელიც აწარმოებდა გამოძიებას ცნობილ მრეწველ ბარმატის საქმეზე, დაჰკითხა ბერლინის პოლიც-პრეზიდენტს სოციალ-დემოკრატ რიხტერს. ბარმატისაგან ქრთამს ღებულობდა სოციალ-დემოკრატების გამოჩენილი წევრები და სამაგიეროდ ხელსუწყობდენ მას სამრეწველო კომბინაციებში.

ფიცის მიღების დროს რიხტერს ისტერია მოუვიდა და მოითხოვა დაკითხვა დახურულ კარებში.

რიხტერი გამოტყდა, რომ ის სხვა და სხვა დროს ღებულობდა ბარმატისაგან ფულებს, ფეშქაშებს, მოგზაურობდა ჰოლანდიაში, დროს ატარებდა აგარაკებზე და სხვა.

ამას გარდა მას მიჰქონდა თავის ამხანაგებთან საჩუქრები ბარმატისაგან.

ამ დანაშაულს რიხტერი ამართლებს იმით, რომ არ მყოფნიდა ჯამაგირი ოჯახის შესანახადო.

## ჩემბერლენი „თავს იმართლებს“.

ინგლისის თემთა პალატაში გაიმართა კამათი „ინგლის—საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. მუშათა პარტიის წევრმა უოლხეტმა შეეკითხა, კარგად უნდა მიაქციონ თუ არა მთავრობის წევრებმა ყურადღება თავიანთ ლაპარაკს, სანამ ამ სულელურ ლაპარაკს არ მოყვებოდეს საერთო კატასტროფა.

ჩემბერლენმა უპასუხა: „სულელური ლაპარაკი სწარმოებს არა მხოლოდ ერთის მხრივ“.

## საუბარი იაპონიის ელჩთან.

ხარბინში გზად გამოიარა მოსკოვში მიმავალმა იაპონიის ელჩმა საბჭოთა კავშირში—ტანაკამ.

გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში ტანაკამ განაცხადა: „მე დიდის სიხარულით და იმედით მივდივარ მოსკოვში, რადგანაც იაპონიის ხალხი დიდის სიმპატიით უყურებს ჩემს გამომგზავრებას. იაპონია-საბჭოთა ურთიერთობა დღითი დღე წავა წინ განვითარების გზაზე. ჩვენ დავეხმარებით ერთმანეთს ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში. იაპონიის მთავრობა აგზავნის საბჭოთა კავშირში რამოდენიმე მრეწველს, რომელთა ნაწილი ჩემთან ერთად მოდის და რომელიც თვითონ აწარმოებს მოლაპარაკებას სამეურნეო მუშაობის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში.“

## მუქარით ვერ შეგვაშინებთ.

ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზიის სიბრაზემ საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ ამ ბოლო ხანებში უმაღლეს წერტილს მიაღწია. კონსერვატიული პრესა გამუდმებული ლაპარაკობს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. ბატონი ჩემბერლენიც იმდენად განრისხებულია, რომ აზრადაც არა აქვს შესცვალოს თავისი მტრული პოლიტიკა საბჭოთა კავშირისადმი.

ერთი სიტყვით მთელი ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზიის განწყობილება ჩვენს მიმართ მეტის მეტად მწვავე და მტრულია. ყოველივე ეს ბუნებრივია და თავისი მიზეზიც აქვს.

ისე, როგორც ერთ დროს ცნობილი ხსენებული ლორდ კერზონი, ბატონი ჩემბერლენიც და მასთან ერთად ინგლისის მთელი რეაქციონური პრესა, ყვირის იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერევა ინგლისის შინაურ საქმეებში.

ამ შემთხვევაში ეს ჩარევა გამოიხატება თურმე იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამხედრებს ჩინელებს ინგლისის მთავრობის წინაალმდეგ. ამრიგად ინგლისის ბურჟუაზიის აზრით გამოდის, რომ ჩინეთში დაწყებული ანტი-იმპერიალისტური მოძრაობის მიზეზი ვართ ჩვენ.

ჩვენის აზრით კი თვით იმპერიალისტური ინგლისია ჩინეთის აღშფოთების მიზეზი. თავისი უსაზღვრო გაყვლეფით, შეუბრალებელი მოპყრობით დამონავებულ ჩინელებისადმი, იმპერიალისტებმა თვით გამოიყვანეს ჩინეთი მოთმინებიდან. საბჭოთა ხელისუფლება კი არა, ის მხეცური დახვრეტა აღმოჩნდა ანტი-ინგლისური მოძრაობის საბაბად, რომელიც ჩაიდინეს ინგლისელებმა ხანკოუსა და კანტონში. როცა ინგლისის ოფიცერი ბრძანებს ცეცხლის გახსნას მშვიდობიან დემონსტრანტებზე, ხოლო ამის შემდეგ ის წარჩინებას ღებულობს თავისი მთავრობისაგან, ჩინეთის ხალხი აღსდგება, მაშ რას იზამს. განა ის იმდენათ ბრმაა, რომ ამის შემდეგ კიდევ საჭირო შეიქნება მისთვის ყოველივე ამის ახსნა? ჩვენ ვფიქრობთ რომ ჩინეთის ხალხი არ საჭიროებს არავითარ განმარტებას. მან თვით იცის როგორ უნდა მოიქცეს.

და რამდენიც არ უნდა ილაყბოს ინგლისის იმპერიალისტურ ბურჟუაზიამ, მისმა მთავრობამ და მისმა გაზეთებმა იმის შესახებ, რომ ჩინეთის მღელვარებაში დამნაშავე ვართ ჩვენ, მათ არავინ არ დაუჯერებს, უპირველეს ყოვლისა მათ არ უჯერის თვით ინგლისის პროლეტარიატი. არა ჩვენ, არამედ ინგლისის ბურჟუაზიის მტაცებლური პოლიტიკაა ჩინეთის მოძრაობის მიზეზი. ჩვენ ამ შემთხვევაში დამნაშავე ვართ იმდენად, რამდენად მაგალითს წარმოვადგენთ ჩინეთის მშრომელთათვის თუ როგორ უნდა განთავისუფლება ბურჟუაზიის ბატონობისაგან და თავისუფალი ცხოვრების ჰედვა.

ყოველივე ეს ცილისწამება დასჭირდა ინგლისის ბურჟუაზიას იმიტომ, რომ განამტკიცოს თავისი შერყეული მდგომარეობა.

უმუშევრობის ზრდა ინგლისში და ამ ნიადაგზე მემარცხენე მუშათა მოძრაობის განვითარება, კომპარტიის გავლენის გაფართოვება, და ბოლოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი ძლიერდება,-ყოველივე ეს ციებ-ცხელებაში აგდებს ინგლისის მტაცებლებს და აქედან ადვილი გასაგებიც არის მათი გაცხარებული კამპანია ჩვენს წინაალმდეგ.

ინგლისის იმპერიალისტები იმუქრებიან. ჩვენ არავის არ გვეშინია. წითელი-არმია მხნედ სდგას თავის სადარაჯოზე და ყოველთვის მზადაა ღირსეული პასუხი გასცეს ყველა იმათ ვინც განიზრახავს საბჭოთა-კავშირის მშრომელთა ინტერესების შელახვას.

—ე.

## „ერის ორგანიზაცია ომის დროსთვის“.

საფრანგეთის მთავრობამ შეიტანა დეპუტატთა პალატაში პროექტი „ერის ორგანიზაციის შესახებ ომის დროსთვის“, რომელიც გამოიმუშავა ეროვნულ თავდაცვის უმაღლესმა საბჭომ.

## ბრძოლა მაროკოში.

ჰავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის ჯარებმა გაფრთებული ბრძოლის შემდეგ უკუაქციეს მაროკოს რაზმები რომლებიც იერიშზე გადადიოდენ საფრანგეთის მფრინავ რაზმების წინაალმდეგ.

# საბჭოთა კავშირში

## გერმანიის ფაშისტები პატიებას მოითხოვენ.

საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა პატიების შესახებ გერმანელ ფაშისტების ვოლშტისა და კინდერმანის მშობლებმა.

ასეთივე შუამდგომლობა აღძრა აგრეთვე დიტმარის დამცველმაც.

ამასთან დაკავშირებით კალინინმა შეაჩერა განაჩენის ასრულება, სანამ შუამდგომლობას განიხილავდეს ცაკის პრეზიდიუმი.

## საფრანგეთ-საბჭოთა სამეცნიერო კავშირი.

სამეცნიერო აკადემიამ წარავლინა პარიზში ცნობილი აკადემიკი ბოტანიკოსი ბოროდინი საფრანგეთთან სამეცნიერო კავშირის ჩოსაგვარებლად.

## პოლონელების ჩვენს საზღვარზე თავდასხმის შესახებ.

### კიევის მშრომელები აღშფოთებული არიან.

კიევის ქალაქის საბჭოსა და მუშა—მოსამსახურეთა კრებაზე სასტიკი პროტესტი იქნა გამოტანილი პოლონეთის ბურჟუაზიის საზიზღარი და თავხედური მოქმედების წინაალმდეგ. კრებამ მოითხოვა მთავრობისაგან გადამჭრელი ზომები მშრომელთა ინტერესების უზრუნველსაყოფად. რეზოლიუცია თავდება შემდეგი სიტყვებით: „ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან“.

## ციმბირის ნათესების მდგომარეობა

ციმბირის მხარეში ნათესების მდგომარეობა საშუალო და ალაგ-ალაგ საშუალოზე მეტია. საერთოდ მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლონეთის ჯაშუშის დაპატიმრება.

3 ივლისს ჩვენმა სანაპირო რაზმელებმა დააპატიმრეს ჩვენს საზღვარზე შპიონაჟის მიზნით გადმოსული პორუჩიკი რონდომანსკი. როგორც კი გაიგეს რონდომანსკის დაჭერა, პოლონეთის მოდარაჯე რაზმმა აუტეხა სროლა ჩვენს სანაპირო რაზმებს და შემდეგ შვიდი კაცისაგან შემდგარი რაზმი გადმოვიდა საზღვარზე დაპატიმრებულის წასართმევად, მაგრამ უკუქცეულ იქნენ.

სროლის დროს დაჭრილ იქნა საბჭოთა სანაპირო რაზმის თანამშრომელი.

## სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის საბჭოს პლენუმი.

7 ივლისს მოსკოვში გაიხსნა სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის საბჭოს პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში სდგას მრეწველობის საშემოდგომო კამპანიის მომზადების საკითხები.

## პირველ-ყოფილი ადამიანის სადგომი.

ჩერეპოვეცკის მაზრაში გათხრის დროს აღმოჩენილ იქნა ქვის ეპოქის პირველ-ყოფილი ადამიანის სადგომი.

აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ქვის ნაჯახები და დანები.

## ბოროტმოქმედება სოფლის ს-ა ბჭოში.

გეპეუმ სოფელ მალინოვკაში აღმოაჩინა ბოროტმოქმედება სოფლის საბჭოში. სოფლის საბჭოში თებერვლის არჩევნების დროს გლეხების სურვილის წინააღმდეგ აირჩიეს საბჭოს თავმჯდომარედ არაყის მხდელი მალიავა. სოფლის საბჭოს „მომუშავეთა" თბილმა კამპანიამ შეავიწროვა ღარიბთა კომიტეტი და კომკავშირის უჯრედი.

გეპეუს მასალებში მოყვანილია სოფლის ამ მესვეურთა ბოროტმოქმედებანი, ლოთობა, მექრთამეობა და ნათლიმამობა.

## „მოსავლის წინ."

„იზვესტიას წერილი".

„პირველად რვა წლის შემდეგ მოსავალი შეიძლება ჩაითვალოს ცოტად თუ ბევრად ნორმალურად.

პირველ რიგში სდგას მოსავლის განაღდების საკითხი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით: პურის შესყიდვა და ამ პურის გასაღება. აქ პირველი ადგილი უჭირავს კოოპერაციას. შეიძლება ითქვას, რომ ახალ კამპანიაში კოოპერაციას შეუძლია აიღოს 400 მილიონამდე ფუთი პური.

ძირა კოოპერაციის ძლიერება იმდენად დიდია, რომ შეიძლება ვიქონიოთ იმედი მის მიერ ამ სიდიდის მუშაობის შესრულებაში.

პურის დამმზადებელმა აპარატმა, ცხადია, უნდა იმუშაოს სწრაფად და იაფად. რა ფასებში გამოერთმევა პური გლეხს? 1-ლ ივნისისთვის გამოანგარიშების თანახმად გლეხობამ აიღო 164 პროც. გასული წლის ფასებთან შედარებით. მომავალ კამპანიაში პურის ზედმეტი მოსავალი რამოდენიმედ დასწევს ფასებს პურზე.

რომ ეს არ მოხდეს, მიღებულია ზომები, რათა პურის ფასები გამაგროს ერთ დონეზე, რაიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის შემდეგ ზრდას, არ არღვევს მომხმარებლის ინტერესს და ხელს უწყობს მანეთის კურსის განმტკიცებას.

მიმდინარე წლის ნორმალური მოსავალი ჰპადებს დიდ სამეურნეო შესაძლებლობას.

ამ შესაძლებლობათა გამოყენება გამონაკლის პასუხისმგებლობას აკისრებს კამპანიას, განსაკუთრებით მოსავლის უშუალო განაღდების საქმეში. თავის დროზე დაყენებული და მეტ ნაწილად გადაჭრილი საკითხები ნებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ მოსავლის ამოცანები გადაჭრილ იქნებიან."

## მოსკოვ-პეკინის საჰაერო ექსპედიცია.

ურგადან აფრენა გადადებულ იქნა.

ცუდი ამინდის გამო საჰაერო ექსპედეციის აფრენა ურგედან გადადებულ იქნა.

## ბანკეტი ექსპედიციის საპატივცემოდ.

მონღოლეთის მთავრობამ საზეიმო ბანკეტი გამართა მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედეციის საპატივცემოდ.

წარმოთქმულ იქნა სიტყვები. ორატორები აღფრთოვანებას გამოსთქვამდენ მფრინავთა გმირული მუშაობით და საბჭოთა ავიაციის მიღწევების გამო.

## უზენაესს სასამართლოს შემადგენლობა,

### რომლის წინაშე წარსდგებიან ქართულ კონტრ-რევოლიუციის ხელმძღვანელნი



ამხ. ვ. სტურუა.



ამხ. ვ. ცინცაძე.



ამხ. გ. ვაშაძე.

## ამხ. ნ. ოკუჯავა გასამართლების შესახებ

### (საუბარი რესპუბლიკის პროკურორის უფროს თანაშემწესთან ამხ. ოკუჯავასთან.)

— ამ დღეებში რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო გაასამართლებს საქართველოს პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის ზედაფენებს. სასამართლოს წარუდგება 47 კაცი, ხუთი პარტიის—მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, „სოციალისტ"-ფედერალისტების, ესერების და სხიველების პარტიების წევრები.

ამ პროცესმა მთელი მსოფლიოს წინაშე ფარდა უნდა ახადოს იმ ადამიანების და პარტიების მოღვაწეობას, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში ხელს უშლიდენ საქართველოს მუშების და გლეხების იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო დანგრეული მეურნეობის აღდგენა, ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცება ამიერ-კავკასიაში და მუშათა და გლეხთა მასების დიქტატურის დამყარება

საქართველოს მშრომელთათვის ამ პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ისინი მეტათ კარგათ იცნობენ ამ პარტიების, განსაკუთრებით მენშევიკების, სახეს და „მუშაობას"; ეს პარტიები ჰქმნიდენ რა მთლიან „ნაციონალურ ფრონტს", კავშირს ამყარებდენ საქართველოს ფეოდალების (ნაციონალ დემოკრატები), დაშნაკების, მუსავატელების პარტიებთან და საჩეჩნეთის და დაღესტანის მოლებთან; ამ პარტიებმა ეს „სამღვთო კავშირი" დაავგვირგვინეს დენიკინის ერთერთ საუკეთესო ჯალათთან, ყაზაღთა გენერალ ფედიუშკინთან შეთანხმებით.

საქართველოს მშრომელები ერთხელ კიდევ იძულებული იქნებიან გვერდი აუარონ ამ აყროლებულ ჰაობს და ზიზღის თვალით გადახედონ მას.

უპირველეს ყოვლისა ეს პროცესი დიდ როლს ითამაშებს საერთაშორისო პროლეტარიატისათვის: მთელი მსოფლიოს მუშები აშკარათ დაინახავენ, თუ როგორ დაეცა მეორე ინტერნაციონალის ერთერთი რაზმი, ქართველი სოციალ-დემოკრატია.

ისინი დაინახავენ, თუ როგორ უკავშირდებოდა პუანკარეს, ლუშერს და დიდ მთავრებს კირილეს და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ის პარტია, რომელიც მარქსზე ფიცულობდა და ფიცულობს, თუ როგორ ძარცვავდა და ხოცავდა იგი ქართველ მუშებს და გლეხებს, როგორ აბამდა მათ ავანტიურაში. მთელი მსოფლიოს მუშები დაინახავენ, რომ ავანტიურის მომზადების დროს ამ პარტიას იმედი ჰქონდა, რომ ანტანტის ჯარები შეესეოდენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიას და მოხდებოდა მისი განაწილება ევროპის მტაცებლებს შორის.

სანამ აკაკი ჩხენკელი მიიღებდა ერთ მილიონ ფრანკს იმ „წინასწარი ხარჯების გასაწევათ, რომლებიც დაკავშირებული იყო ნოე ჟორდანიას მთავრობის დამკვიდრებასთან საქართველოში", პუანკარეს წინასწარ თათბირი ჰქონდა რენოდელთან, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის მაკ-ნეილის მიერ კაკი წერეთლისათვის მიცემულ დაპირებას კი იმის შესახებ, რომ ის დახმარებას გაუწევდა ქართველ მენშევიკებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოკლე დროით მოახერხებდენ საქართველოს ტერიტორიაზე გამაგრებას, წინ უძღოდა მორალური დახმარების დაპირება ფილიპე სნოუდენის მხრიდან (რენ დელზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პიროვნება მეოინტერნაციონალში.)

და იმ მომენტში, როდესაც საქართველოს მუშების და გლეხების სასამართლო გაასამართლებს პარიტეტულ კომიტეტს იქ, შორეულ პარიზში, მშვენიერ ვილლაში ნოე ჟორდანია თავის შაიკასთან ერთად ხელახლა შეადგენს და გამოგზავნის საქართველოში ბრძანებას „საერთო სახალხო" აჯანყების მოწყობის შესახებ, რომ ამით შესრულებული იქნეს საერთაშორისო ბურჟუაზიის დირექტივა.

ასეთი ბრძანების შედგენით ჟორდანია არაფერს არ კარგავს, გარდა ერთი საფოსტო ქაღალდისა და კონვერტისა. სამაგიეროთ ის უხვათ მიიღებს ჯილდოს ქართველი მუშების მიერ დაღვრილი სისხლის ასანაზღაურებლათ.

„კომ."

## წიგნის კვირეული.

### პირი ასეულის ბიბლიოთეკისაკენ!

ჩვენი ლოზუნგის—„წიგნი მასებში"—ყველაზე უფრო ადრე და ადვილად გატარება შეიძლება სარაიონო ბიბლიოთეკის საშუალებით.

სარაიონო ბიბლიოთეკა უშუალო მუშაობას აწარმოებს წითელ არმიელთა შორის, ის წარმოადგენს ჩვენს დაწყებითი ძირა ორგანიზაციას. შესძლებს თუ არა ასეულის ბიბლიოთეკა წითელ-არმიელთა დაინტერესებას წიგნით,—ამაზე დამოკიდებულია წითელ-არმიელის შემდეგი დამოკიდებულება წიგნთან და მაშასადამე, მეცადინეობისა და საერთო განვითარების წარმატებაც.

**წიგნს გარეშე არ შეიძლება ცოდნა და ცოდნის გარეშე—კარგი მეომარი.**

ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესება და განმტკიცება ჯერ კიდევ მორიგი ამოცანაა.

როგორ უნდა გადავჭრათ ის?

პირველ ყოვლისა უნდა მიექცეს ყურადღება ბიბლიოთეკის წიგნების შემადგენლობას. ასეულის ბიბლიოთეკის მუშაობაში,—რომელსაც ისედაც წიგნების მცირე რაოდენობა მოეპოება,—დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნების კარგსა და წესიერ შერჩევას.

მაგრამ წიგნების კარგი შემადგენლობაც კი მოუმზადებელ ბიბლიოთეკარის ხელში, ვერ მოიტანს სათანადო შედეგს.

ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ასეულის ბიბლიოთეკის გამგეების მომზადებას. ასეულის ბიბლიოთეკა მხოლოდ მაშინ შესძლებს გაძლიერებულ მუშაობას, როცა მას მიაქცევს ყურადღებას და მზრუნველობას გაუწევს ნაწილის მთელი შემადგენლობა.

საჭიროა ყურადღება და დახმარება უფპოლიტშემადგენლობისა და წითელ არმიელთა მხრივ.

გ. კალინინი.

## სამხედრო ქიმია.

### 3. ქიმიისა და სამხედრო-ქიმიურ ნივთიერებათა მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში.

**რა და რა ნაირია მიწის განოყიერების საშუალება.**

როგორც ადამიანს და ცხოველს სჭირდება სხვა და სხვა საჭმელი (მაგ. პური, ხორცი, ქონი და სხვა), რომ იცოცხლოს და ჯანსაღი იყოს, ისე მცენარეებსაც ესაჭიროება მასაზრდოებელი ნივთიერებანი, ე. ი. მიწასაც სჭირდება განოყიერება სხვა და სხვა საშუალებით. ყოველ განმანოყიერებელ ნივთიერებას უნდა ჰქონდეს ისეთი თვისება, რომ ადვილად იხსნებოდეს იმ სითხეში (წყალში), რომელიც იმყოფება მიწაში, ვინაიდან უამისოდ ის ვერ აასრულებს თავის დანიშნულებას. მცენარე გამოსწოვს ნიადაგიდან მხოლოდ მისთვის საჭირო სითხეს ანუ გახსნილ ნივთიერებას, მაგრამ არც მაგარი ნივთიერების, არც გაზების გამოწოვა არ შეუძლია მას ნიადაგიდან და მაშასადამე, არც ასეთი ნივთიერებით საზრდოობაც. არის სხვა და სხვა ნაირი განოყიერება, მაგრამ ამათგან უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელი მცენარის ზრდისა და ცხოვრებისთვის—ეს არიან ისეთი განოყიერებანი, რომლებიც შეიცავენ „აზოტს", „ფოსფორს" და „კალიუმს".

**ქიმიური მრეწველობა და ქიმიური განოყიერება.**

საზღვარგარედ, მაგ. გერმანიაში, ჯერ კიდევ 100 წლის წინად გაიგეს ქიმიური განოყიერების დიდი მნიშვნელობა და აწარმოებენ მას ფართე მაშტაბით.

იქ დიდი ხანია, რაც ქიმიური საშუალებებით ანოყიერებენ ნიადაგს და მიტომაც ღებულობენ დიდ მოსავალს.

ჩვენში კი ეს არ არის. ჩვენს მხვნელ-მთესველს ჯერ კიდევ არ ესმის კარგად განოყიერების მთელი მნიშვნელობა, ხოლო თუ ხმარობს ისეთ განოყიერების საშუალებას, როგორიცაა ფრინველის, რქოსანი საქონლის პატივი და სხვა,—ისიც ძალიან მცირედი რაოდენობით.

ქიმიური მინერალური დაპატივება კი ჩვენმა მიწის მუშამ არ იცოდა და მისი მიღება საკმაო რაოდენობით და ხელსაყრელ ფასებში არც შეეძლო, ვინაიდან ჩვენი ქიმიური მრეწველობა განუვითარებელი იყო და გლეხებისთვის არ შეეძლო მიეწოდებია დაპატივებისთვის საჭირო ნივთიერებანი.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობისთვის ჩვენი ქიმიური მრეწველობის განვითარებას; ხოლო ქიმიური მრეწველობა თუ განვითარდება, გვექნება საკმაო რაოდენობა ქიმიურ მინერალურ საშუალებათა, ხოლო თუ ეს საშუალებანი გვექნება და მიწას ვაპატივებთ—გვექნება კარგი მოსავალიც; კარგი მოსავლის წყალობით განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა. აი, როგორი ქიმიური მრეწველობის დიდი მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში, მით უფრო, რომ ჩვენ შეგვიძლია გასანოყიერებელ ქიმიურ საშუალებათა დიდძალი რაოდენობის მიღება, ვინაიდან ჩვენ მოგვეპოება ამზინისთვის საჭირო ნედლი მასალის დიდძალი რაოდენობა (მაგ. ფოსფორიტები ანუ ერთგვარი ფოსფორიანი მადნები და სხვა).

ქიმიურ მინერალური განოყიერების უპირატესობა სხვა განოყიერებათა წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ ის ადვილი საშოვარია და დიდძალი რაოდენობაც მოგვეპოება, რაიც არ შეიძლება ითქვას სხვების შესახებ, რა ბევრი შინაური საქონელიც არ ყავდეს გლეხს.

ლ. ვორონოვი.

# მუშაობა ცვალებადელთა შორის.

## სასკოლო მუშაობა ჩვენთან.

(მე-6 თე ლეგიონი)

ჩვენს ლეგიონში სასკოლო …უშაობის თავის დონეზე დასა…ენებლად ადრევე დაიწყო საა…სო სამზადისი.

ტერ-არმიელების მოსვლის…ანავე ნაწილში, შეუდგნენ მა…ი ცოდნის გამორკვევას და …თ ჯგუფებათ დანაწილებას, …ოდნის და მიხედვით.

ტერ-არმიელები ამ ჟამათ …აყოფილი არიან ძირითად წი…ელ არმიელებთან ერთად ოთხ …გუფად: არამცოდნეები, სუს…ი, ნახევრად მცოდნეები და …ცოდნეები. წერა-კითხვის უცო…ინარ წითელ-არმიელთა ჯგუ…ების რიცხვი ეროვნებათა მი…ედვით არის: ქართველების 4 …გუფი, თათრების 2 ჯგუფი, …მხები 1 ჯგუფი, რუსები 1 …გუფი სულ ამ რვავე ჯგუფე…ში ირიცხება 167 წერა-კით…ვის უცოდინარი წითელ არმიელი. ამასთანავე ერთად ნაწილში მცირე მცოდნეთა რიცხვი უდრის 228 კაცს.

ყველა ჯგუფებში სწარმოებს გაცხარებული მუშაობა. ტერ-არმიელები ძლიერ გულ-მოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას. ჯგუფებს მასწავლებლები საკმაო ყავთ. ამასთანავე ერთად ჯგუფები უზრუნველყოფილია სამოსწავლო ნივთებით, როგორიც არის: ფანქრები, რვეულები, წიგნები და სხვა მასალები.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტერ-არმიელები ამ რამოდენიმე თვეში შეიძენენ საკმაო ცოდნას სამხედრო, პოლიტიკურ და სასკოლო დარგში და დაბრუნდებიან თავ-თავიანთ სოფლებში საკმაოდ მომზადებულები.

სამხკორი **ცუდლრისპირელი.**

## …ეტი ყურადღება ლენინის კუთხეს.

მეექვსე ლეგიონის პირველი ათასეული.

…ღნიშნული ლეგიონის პირ…ელ ათასეულში, იქ სადაც …ამი ლენინის კუთხე უნდა …რსებობდეს, ადგილის უქონ…ობის გამო არსებობას მხო…ოდ ერთი და ისიც არ არის …არეგნულად ისე მოწყობილი, …ოგორც საჭიროა.

…არ გვაქვს სათანადო პლაკა…ები, ლოზუნგები და რევო…იუციის ბელადების სურათე…ი, რაც აუცილებელია. მარ…ოო ლენინის სურათი არ არის …აკმარისი ლენინის კუთხის მო…აწყობად.

გარდა ამისა, ლენინის კუთხის ერთ-ერთ მთავარ განყოფილებად უნდა ითვლებოდეს სამხედრო კუთხე, რომელიც ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება.

კლუბის უფროსო! მეტი ყურადღება ლენინის კუთხის და მისი მთავარი განყოფილებების გარეგნულად მოწყობას, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მასში მუშაობის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად.

წით. მოლ. **მ—შვილი.**

## საკლუბო მუშაობა თანდათან ცოცხლდება.

მეოთხე ლეგიონი.

პირველ ხანებში ლეგიონის საკლუბო მუშაობა მოისუს…ებდა სხვა და სხვა მიზეზების …ამო, მაგრამ დღეს ყველა და…აბრკოლებელი მიზეზები თით…ქმის გადალახული იქნა და ის …ავსე…ით ამართლებს თავის და…ნიშნულებას.

…უმთავრესი ყურადღება აქვს …იქცეული ლენ-კუთხეებს, რო…მლებიც ყველა ასეულებში არის …მოწყობილი. გამოყოფილია ბი…როები, რომელთა შორის სწა…რმოებს მუშაობა. ამოძრავებუ…ლია ცვალებად შემადგენლო…ბის აქტივი.

საწრეო მეცადინეობა სწარმოებს უმთავრესად ძირედ შე…მადგენლობასთან. მასიური მუ…შაობაც კარგათ არის დაყენე…ბული, იდგმება საღამოები, რომლებიც თვითშემოქმედების ხასიათისაა.

კლუბის გამგეობის ინიციატივით მოხდა ნაწილის საშეფო სოფელში გამგზავრება, სადაც საუცხოვოდ იქნა ჩატარებული საუბრები და მასიური მუშაობა. კლუბი დიდ მზადებაში იყო კოოპერაციის დღისათვის. წრეები ამზადებდნენ ლოზუნგებს, დახატული იყო პლაკატები, ემზადებოდნენ მასიურ მუშაობის ჩასატარებლად და სხვა.

გადახალისდა დეკორაციები, რომელზედაც მუშაობდა ორი მხატვარი.

ამნაირად ამ ბოლო ხაებში საკლუბო მუშაობა ძლიერ გამოცოცხლდა.

სამხკორი **ხან.—მანი.**

## მოგვეცით აბანო და საცვლები.

მე-2 ე არტლეგიონი.

ხსენებულ ლეგიონის სამხარ…თველოს გუნდში ვირიცხებით …ქუთაისიდან გადმოყვანილი რა…მოდენიმე ათეული მოლაშქ…რეები. შრომა ბევრი გვაქვს და …ჩვენთვის აბანოს შესახებ კი …არავინ ფიქრობს, მაშასადამე …არც საცვლები გამოგვიცვლია ამ ხნის განმავლობაში.

ჩვენზე, როგორც შავი სამუშაოს შემსრულებელი გუნდისათვის ასეთი უყურადღებოთ მოპყრობა მიუტევებელია.

ლამის შეგვჭამოს ჭუჭყმა და თუ დროზე არ მოგვექცა ყურადღება, შესაძლებელია რაიმე გადამდებ ავადმყოფობამაც იჩინოს თავი.

ამხ. სამნეო ნაწილის უფროსო! შემოიარეთ ჩვენთან, დაგვიხედეთ და გაიგეთ ჩვენი მდგომარეობა.

ველით ყურადღებას.

წ.-არმ. **ტერ დავიდოვი.**

## მეცადინეობაზე ხელს ნუ გვიშლის.

პირველი ლეგიონის მეორე ასეულში არის საკმაო რიცხვი ახალწვეულების, რომლებიც დიდ ბეჯითობას იჩენენ როგორც სამხედრო, პოლიტიკურ, ისე სასკოლო მეცადინეობაში.

ახალწვეულები ცოდნისდა მიხედვით დაყოფილი ვართ ჯგუფებათ. ჩვენი ჯგუფის მასწავლებლათ არის ამხ. მარდალეიშვილი, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მისცეს წითელ არმიელებს. მხოლოდ ჩვენს ჯგუფში არის ერთი წითელ არმიელი, გვარად ჩუტლაშვილი, რომელიც ყოველთვის ხელს უშლის მასწავლებელს მეცადინეობის დროს.

ხსენებული ჩუტლაშვილი ხშირად თავისი მეტიჩრობით და აურზაურით ბევრ დროს გვაკარგვინებს ტყუილად. არც თითონ სწავლობს და არც სხვას აცლის სწავლას.

ამხ. მასწავლებელო! მიიღე სათანადო ზომები ასეთი წითელ არმიელის წინააღმდეგ და ასწავლე მას, თუ როგორ უნდა ჯგუფში მეცადინეობა.

ახალწვეული **ჭილელი.**

## ჩვენი ნაკლოვანებანი.

მეორე ლეგიონის საბანაკოთ გასვლის შემდეგ საზამთრო ყაზარმებში დარჩენილი წითელ არმიელები ვიმყოფებით ძლიერ ცუდ მდგომარეობაში და ყურადღების მიმქცევი არავინ არ არის.

ჩვენ ხშირად გავდივართ საგუშაგოთ და არც ერთ საგუშაგოში საათი არ მოიპოვება, რის გამოც ზოგიც დიდხანს არის გუშაგათ, და ზოგიც ნაკლებს. ამ ნიადაგზე ხშირათ წითელ არმიელებში ადგილი აქვს აურ-ზაურს.

რაც ლეგიონი გავიდა საბანაკოთ, მას შემდეგ თითქმის პური ძლიერ ცუდი გვეძლევა. ამასთანავე ერთად კერძიც მოგვაკლეს.

ჩვენს ლეგიონს დიდი ეზო უჭირავს. ამ ეზოს ბალახი გაყიდეს და შეგვპირდნენ სადილის გაუმჯობესებას, მაგრამ შეპირება, შეპირებათ დარჩა.

ჩვენ არც აბანო გვაქვს თავის დროზე. თუ ხანდიხან წაგვიყვანეს ამის ფულსაც ჩვენ გვახდევინებენ. ამას წინად დარიგებულ ჯამაგირებში დაიკავეს ეს ფული.

ვსთხოვთ ჩვენი ნაწილის მესვეურებს მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამ ჩვენს მდგომარეობას.

წ. არმიელი **შხივანელი.**

# ჩვენი ნაწილების მუშაობა ბანაკში.

## ჩვენი მეცადინეობა ვაზიანში.

1-ლ. ლეგ. მეთაურთა სკოლა.

23 ივნისს პირველი ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლა გაემგზავრა ვაზიანისაკენ ტაქტიკური მეცადინეობის გაფართოების მიზნით. დიდი მხიარულება გამეფდა კურსანტებში მოგზაურობის დროს.

ვაზიანში მივედით თუ არა მეორე დღესვე დავიწყეთ მეცადინეობა. ამოცანების შესასრულებლად აქედანაც კარგა მოშორებით მივდიოდით და საფუძვლიან მეცადინეობაში გავატარეთ თითქმის ერთი კვირა.

მეცადინეობა კარგი ტემპით მიმდინარეობდა. ტარდებოდა პოლიტსაათებიც, მაგრამ უფრო სუსტად, რადგან ცოტა დრო რჩებოდა ჩვენს განკარგულებაში. მიუხედავად გამუდმებული წვიმების და ამინდის ჩქარი ცვლილებისა, კურსანტებს ოდნავ არ დასტყობიათ უკმაყოფილება.

სიმღერა, ცეკვა და თამაში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა თავისუფალ საათებში. მხოლოდ ძლიერ გვიშლიდა ხელს უწყლობა. ვაზიანის ხრიოკიან მიდამოებში იშვიათად თუ სადმე შეხვდებით წყალს.

საკმაოდ მოგრძო მანძილის გავლის შემდეგ ღამის სიბნელემ და გადაუღებელმა წვიმებმა მოიცო არე მარე.

მიუხედავად ამისა სკოლამ მიაღწია დანიშნულ ადგილს და მთელი ამოცანები შესრულებული იქნა.

ვერც საშინელმა წყურვილმა, ვერც სხვა მრავალმა შემთხვევებმა ვერ შეაფერხა ჩვენი საქმიანობა.

სკოლის უფროსმა დიდი მადლობა გადაუხადა არმიელებს უკან დაბრუნებისას, რომ ასე ბეჯითად და გულმოდგინეთ ჰკიდებდენ ხელს ყველა დავალებების შესრულებას.

სამხკორი **ივ. ბარელაძე.**

## სამაგალითო მუშაკი.

პირველი ლეგიონის სამნეო გუნდში გვყავს ერთი უფროსი მეჯინიბე, გვარად ეკუშოვი, რომელიც ამ ლეგიონში იმყოფება 1921 წლიდან.

დაუფასებელია ის მუშაობა, რომელსაც ამხ. ეკუშოვი ეწევა ჩვენს ნაწილში. ის ყოველ დღე და ღამე იმყოფება საჯინიბოში და უვლის ცხენებს ისე, როგორც საჭიროა. მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. ეკუშოვი არის უფროსი მეჯინიბე, ის ყოველივე საქმეს თითონ აკეთებს, ჩადგება წითელ-არმიელებთან და მუშაობს ისე, როგორც წითელი-არმიელი.

ამას გარდა მისი მოპყრობა წითელ-არმიელებისადმი არის ნამდვილი ამხანაგური. ამისათვის წითელ-არმიელებს ძლიერ უყვართ ის.

უსურვებთ ამხ. ეკუშოვს ასეთ ენერგიული მუშაობის გაგრძელებას.

სამხკორი **მეჯუდა**

## მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.

პოლიტიკური განათლების დარგში ჩვენს სკოლას ერთი ნაკლი დაჰყვა წლის დასაწყისიდანვე. სახელდობრ პოლიტ მეცადინეობის მეთოდი ვერ არის სათანადოთ შეფარდებული კურსანტების ცოდნასთან. მაგალ. უფროსი ჯგუფის კურსანტები პროგრამის მიხედვით გადიან პოლიტ-მეთოდიკას. ამაშივე ამეცადინებენ მოსამზადებელ და უნცროსი ჯგუფის კურსანტებს. ეს კი მეტი-მეტად მიზანშეუწონელია. სად აქვთ ახლად მოსულ მოსამზადებელ კურსის კურსანტებს იმდენი ცოდნა, რომ მოკლე ხნის განმავლობაში შეითვისონ პოლიტ ცოდნა. ამიტომ არის რომ ეს მეცადინეობა ნაკლებად დამაკმაყოფილებელია თავისი შედეგებით.

ასეთი მეთოდით მეცადინეობა დასაშვებია მხოლოდ უფროსი ჯგუფის კურსანტებთან, ხოლო სხვებისთვის კი უსარგებლოა.

მეორე მიზეზია ის, რომ პოლიტმეცადინეობას ძლიერ ცოტა დრო აქვს დათმობილი და ისიც საღამოობით. მთელი დღის განმავლობაში მუშაობით დაღლილ კურსანტებს ძლიერ უძნელდებათ საღამოს კიდევ გაკვეთილების მოსმენა.

საჭიროა დროზე მიიღებდენ ამ მოვლენების გამოსასწორებლად შესაფერ ზომებს თორემ არაფერი არ გამოგვივა. პოლიტიკურად მომზადება კი სამხედრო მომზადების გვერდში უნდა იდგეს და ამასვე გვთხოვენ ჩვენი მესვეურებიც.

სამხკორი **შაქრო.**

## სამხედრო მომზადების საქმე ჩვენთან.

მესამე ლეგიონი.

სამხედრო მომზადების საქმეს მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენს ლეგიონში.

მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს; მართალია არა გვაქვს ყველა სამეცადინოთ აუცილებელი საგნები, მაგრამ ეს გარემოება იმდენად ვერ ავნებს საქმეს. ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს ლეგიონში სროლის შესწავლას. ამ მიზნისათვის გვაქვს საჭირო იარაღები, როგორც არიან: დაზგა, სარკე, არტასკოპი და სხვა.

კარგ შედეგებს იძლევა ტაპიკებზე ვარჯიშობა, რომელიც წითელ-არმიელებსაც მეტის-მეტად აინტერესებს.

ახალწვეულებმა გაამართლეს ჩვენი უფროსების იმედები. დამიზნება მათ ზედმიწევნით კარგად შეისწავლეს.

როგორც ვიცით სამხედრო სწავლებაში ჩვენი ნაწილები გადადიან ამ ჟამად ჯგუფური სწავლების მეთოდზე, რომელიც სიმართლე უნდა ითქვას, ვერ გამოვიყენეთ ჩვენს ლეგიონში. ასეთი მეცადინეობით საფუძვლიანმა ცდებმა ჩვენს ნაწილებშივე დაგვარწმუნა, რომ ხსენებული მეთოდის მოხმარებით დროც ბევრი იკარგება და არევ-დარევა შედის არმიელებში. თოფის მატერიალური ნაწილების ჯგუფურად შესწავლამ ამნაირად ვერ მოიტანა ჩვენს ლეგიონში კარგი შედეგები და ისევ ძველი სისტემით ვასწავლით, რაც გაცილებით ნაყოფიერი შეიქნა. არმიელები უფრო ეთვისებიან თოფის ყველა ნაწილებს და დროც არ გვეკარგება გადასვლა გადმოსვლაში.

ოცეულის მეთაური **ა. ჭკადუა.**

## ჩვენი 2-რე ასეულის საქმიანობიდან.

მე-3-მე ლეგიონი.

ლეგიონის მეორე ასეულში წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა ამ ჟამად თითქმის წერაკითხვას მშვენივრად მცოდნეა. ასე არ იყო მათი ნაწილში მოსვლისას, 95 პროცენტი უცოდინარები იყვენ. მონდომებული მეცადინეობით არმიელები საკმაოდ განვითარდენ და შემდეგ არც პოლიტიკური და არც სამხედრო საქმის შესწავლა გაუძნელდებიათ. არმიელებსა და უფ-პოლიტშემადგენლობის შორის სასურველი განწყობილებაა. აქამდე ადგილი არ ჰქონია დისციპლინის დარღვევას და ერთი უბრალო განკარგულებაც კი არ დარჩენილა შეუსრულებელი.

სკოლის გარეშე საგანმანათლებლო საქმეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. გვაქვს მშვენიერი ლიტერატურით მდიდარი ლენინის კუთხეები, სადაც ხშირად სწარმოებს საუბრები და გაზეთების კითხვა. აქვე არის უცხო სიტყვათა რვეული, რომელშიდაც სწერენ არმიელები ყველა გაუგებარ სიტყვებს და რომლებსაც იმ დღესვე ეძლევათ ახსნა-განმარტება.

კუთხეში მკითხველთა რიცხვი ყოველდღიურად აღწევს 15—17 კაცამდე.

საჭიროა კიდევ უფრო დავაინტერესებდეთ არმიელებს და უფრო ვლომად ჩავაბამდეთ თვითგანვითარებისა და სხვა აუცილებლად საჭირო პოლიტიკურ საქმიანობაში.

სამხკორი **გ—ტი.**

# პარტიული ცხოვრება.

მესამე ლეგიონში 18 ივნისს შესდგა მეორე კომუჯრედის ღია კრება. კრებას თავმჯდომარეობდა წითელ არმიელი ამხ. შიოლაშვილი.

დღის წესრიგში იყო: 1. მოხსენება პარტ. და სამხედრო დისციპლინაზე, 2. მოხსენება საბანაკო ცხოვრებაზე და 3. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. გაბელიამ, რომელიც ფართოდ აცნობს კრებას პარტიული და სამხედრო დისციპლინის საკითხებს.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს პოლიტხელი ამხ. მელაძე, რომელმაც ფართოდ განუმარტა დამსწრეებს საბანაკოთ გასვლის მნიშვნელობა და ბანაკში მუშაობის ამოცანები.

ორივე მოხსენების გარშემო გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

გ—ტი.

## სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან.

სამი თვის მუშაობის ანგარიში.

20 მარტში არჩეულმა კომუჯრედის ბიურომ, დაამთავრა თავისი მუშაობა.

უჯრედის შემადგენლობა ასეთია: პარტიის წევრი 18 კაცი, კანდიდატი 21. სამი თვის განმავლობაში მიღებულ იქმნა პარტიის კანდიდატებათ 13 კაცი, გადარიცხულია კანდიდატებიდან—პარტიის წევრათ 6 კაცი.

ბიუროს ჰქონდა სულ 9 სხდომა. კომუჯრეს 9 სხდომა, აქედან 2 დახურული.

მუშაობის სამთვიური გეგმა განხორციელებულ იქმნა შეძლებისდაგვარათ, თუ მივიღებთ მხედველობაში საერთო ხასიათის დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომელნიც უშლიდნენ ხელს ბიუროს მუშაობას.

მთავარი მიზეზთაგანი არის დროს უქონლობა. კურსანტები დატვირთულნი არიან სხვა და სხვა საგნებით, დავალებებით და არ რჩებათ საკმაო დრო, რომ პირნათლად შეასრულონ ბიუროს ესა თუ ის დავალება.

ბიურო სცდილობდა ჩაეთრია საერთო პარტიულ მუშაობაში მთელი უჯრედი.

ამ მიზნით ავალებდა კურსანტებს მოხსენებების გაკეთებას სხვა და სხვა საკითხებზე.

შესწავლილ იქნა დადგენილებები და რეზოლიუციები მე-14 პარტკონფერენციის, და საკავშირო ცაკის მესამე სესიის. ბიურო ყურადღებას აქცევდა რომ კურსანტები ყოფილიყვენ გარკვეულნი მიმდინარე მომენტში, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაში.

ამ საკითხების ირგვლივ კეთდებოდა მოხსენებები და იმართებოდა სჯა ბაასი.

ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული შინაურ, სკოლის ყოფა-ცხოვრების საკითხების გაშუქებას.

უეჭველია, ახალი ბიურო მიაქცევს ამას ყურადღებას.

დაჭერილი იყო კავშირი სხვა და სხვა ორგანიზაციებთან და სამხედრო დაწესებულებებთან. მიმაგრებულ იქნენ კურსანტები, რომლებიც ეტანებოდენ ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობას, ყოფა-ცხოვრებას და აცნობდენ ჩვენ ცხოვრებას.

ხშირად იმართებოდა მასიური ექსკურსიები სხვა და სხვა დაწესებულებებში.

გვქონდა კავშირი სოფელ ცოცხნარასთან ბანაკად გასვლამდე. ვაწვდიდით სოფელს ლიტერატურას, ვუწერდით გაზეთებს. კამპანიების ჩასატარებლად იგზავნებოდა მიმაგრებული კურსანტი.

ბანაკად გასვლისას ბიურომ დაიჭირა კავშირი ადგილობრივ რაიკომთან.

გამოყოფილ იქნა მთელი რიგი კურსანტების სოფლად მუშაობის საწარმოებლად.

ალებულ იქნა შეფობა სოფ. დიდ-თონეთზე. ბიურო ხელმძღვანელობდა აგრეთვე სკოლის გარეშე განათლების საქმეს.

გვქონდა ორ კვირეული ორგანო „წითელი კურსანტი“ და სხვა.

ბიუროს მუშაობა კრებამ იცნო დამაკმაყოფილებლად.

ახალ ბიუროს ვუსურვებთ მეტ ენერგიას მუშაობაში, ვუსურვებთ არ განემეორებიოს წინეთ დაშვებული ზოგიერთი შეცდომები.

ე. ხუციშვილი.

## ახკომკავშირელთა შორის.

მეექვსე ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის უჯრედი.

23 ივნისს შესდგა ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის ახკომკავშირელთა ჯგუფის კრება, რომელსაც უკლებლად დაესწრენ ყველა ამხანაგები.

დღის წესრიგში გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: კომპარტიის 14 კონფერენციის რეზოლიუცია კომკავშირის შესახებ. 2) შეფობა და სხვა.

კონფერენციისაგან მიღებული რეზოლიუცია ჩვენი კავშირის შესახებ ვრცლად განმარტა ამხ. ბილანჩივაძემ. მან დაწვრილებით აღნიშნა ყველა პრაქტიკული მითითებანი, რომელიც გამოიტანა კონფერენციამ კავშირის გარშემო.

მომხსენებელმა აცნობა კრებას, თუ როგორი მზრუნველობით ეპყრობა საერთოდ პარტია კავშირის და კერძოთ როგორი ყურადღება მიაქცია კონფერენციამ კომკავშირის გაძლიერების საკითხს, მის ბოლშევიკურად აღზრდას და სხვა, რომელიც პარტკონფერენციის გადაწყვეტილებით დაკვრითი წესით უნდა იქნას გატარებული.

შემდეგ ილაპარაკა ჯგუფის ორგანიზატორმა და შეეხო შეფობის მნიშვნელობას.

კრებამ მოხსენება მოიწონა და ერთხმად იქნა არჩეული კომისია, რომელიც მოაწესრიგებს კავშირს რომელიმე სოფელზე შეფობის სახით.

ახკორი ი. ბ.

## საქ. ცენტრალურ აღმასკომში.

— **თიანეთის რაიონი** ცაკის დადგენილებით დროებით შემოუერთდა ტფილისის მაზრას.

— **სახელწოდების შეცვლა.** საქ. ცაკმა დაადგინა სადგურ ვაჩნაძიანს ეწოდოს „შრომა“ და შესაფერი შუამდგომლობა აღძრა გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის წინაშე.

— **უზენაეს სასამართლოს** მსაჯულათ დაინიშნა ამხ. ვანო სტურუა.

— **ადმინისტრატიულად დაყოფა.** ცაკმა დაამტკიცა ახალციხის მაზრის ადმინისტრატიულად დაყოფის გეგმა.

— **ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს** თავმჯდომარეთ ცაკმა დანიშნა ამხ. შალვა ელიავა, პასუხის მგებელ მდივნად ამხ. გვანცელაძე.

— **ჯანმრთელობის საქმე.** საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი ამ ჟამად იმუშავებს რესპუბლიკაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის 5 წლიან გეგმას.

— **უფასო საექიმო დახმარება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მაზრებში უკვე დაგზავნა თვალის საექიმო რაზმები, რომლებიც უფასოთ უწამლებენ ღარიბ გლეხებს.

— **ფასები მატყლზე.** წარმოკავშირმა დაადგინა ზაფხულზე გაკრეჭილ ფუთ ცხვარის მატყლში მეცხვარეებს მისცეს 10 მანეთი, შემოდგომისაზე კი 11 მანეთი.

— **აბრეშუმის ქარხნის** საფუძვლიან შეკეთება-მოსაწყობათ ცეკავშირმა მთავრობისაგან გამოითხოვა 50 ათასი მანეთი.

## ამბები სოფლებიდან.

**გლეხებთან დასაახლოებლათ.**

გორის აღმასკომმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც მიზანშეწონილათაა ცნობილი რომ სათემო აღმასკომების თავმჯდომარეებმა სოფლებში სიარულის დროს არ ატარონ იარაღი და მათრახი.

**სიძველეთა დასაცავათ.**

სოფ. გომის (გორის მაზრა) აღმასკომმა მოიწვია გლეხების ყრილობა, რომელზედაც დაადგინეს, რომ ცხოველი მონაწილეობა მიიღონ ისტორიულ სიძველეთა დაცვაში.

**დაზარალებული გლეხები.**

რაჭის სამაზრო აღმასკომმა გაგზავნა კომისია სოფ. „ბუგეულში, მეწყერისაგან დაზარალებული 35 გლეხის ახალ ადგილზე დასახლების საკითხის გამოსარკვევათ.

**ხაშურის გამშვენიერება.**

ხაშურის აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს ხაშურის ქუჩების გამშვენიერებას. პირველ რიგში გამშვენიერებული და მოწყობილი იქნება „მწვანე მოედანი“.

**ბანკის განყოფილება ცხინვალში.**

სამხ.-ოსეთის ცაკმა სასურველათ სცნო ცხინვალში გახსნილ იქნეს ტფ. კომუნალური ბანკის განყოფილება.

**გლეხკომის წვლილი.**

ქუთაისის სამაზრო გლხკომმა დაადგინა გადასდოს ათასი მანეთი დვალიშვილების თემში აფთიაქისა და საექიმო პუნქტის გასახსნელათ.

**სკოლა ზნაკვაში.**

სოფ. ზნაკვის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს და გააფართოოს მოტყიოვრის (ქვემო რაჭაშია) სკოლა.

# ახალი ამბები.

— **საპნის დამზადება.** საპონ-ზეთის ტრესტმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაამზადა 53 ათასი ფუთი საპონი.

— **თამბაქოს მრეწველობა.** თამბაქოს ტრესტის ქარხნებში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამზადდა 450 მილიონი ცალი პაპიროსი და 130 ათასი გირვანქა თამბაქო.

— **მიწად-მოქმედების სახ.** კომისარიატი სცემს საგაკვეთილო დებულებას სოფლის მეურნეობის დარგში.

— **ტყის მოშენება.** სატყეო განყოფილების ხელმძღვანელობით ყარაიაზის სატყეოში წელს 19 დესეტინა მიწაზე დაითესა მუხა და აკაცია.

— **კალიასთან საბრძოლველად** საქ. მავნებლებთან ბრძოლის ბიურომ სახ. კომისართა საბჭოსაგან მიიღო 2.500 მან.

## აბა გამოიცანი?

ამოცანა № 2.

ერთი კაცი ერთ ფუთ წყალს სვამს თოთხმეტ დღეშ თავისი ცოლიც თუ შეეზიარება მაშინ ერთი ფუთი წყა ყოფნით 10 დღეს.

გასაგებია რამდენ დღეს ეყოფა ამ კაცის ცოლს ე ფუთი წყალი?

## ნარევი.

სიცხე ამერიკაში.

მთელ ამერიკაში ამჟამად აუტანელი სიცხე სდგას. ტემპერატურა ხშირად .100 გრადუსზე ვ ი თ ა ღ წ ე ვ ს დ ა ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ა დ ამ საშინელი სიცხის მსხვერპლი ხდება ათეული ადამიანები. სიცხის მსხვერპლთა რიცხვი ჯერ-ჯერობით უდრის 300-მდე კაცს. მათ შორის 100 ერთი დღე-ღამის განმავლობაში გამოესალმა სიცოცხლეს. გაზეთები ყოველდღიურად აქვეყნებენ სიცხისაგან დაღუპულთა სიას.

ჩქარი დახმარებისთვის დანიშნული ეტლები წამ და უწუმ დაჰქრიან ნიუ-იორკის ქუჩებში, ჰკრეფენ დასიცხულ—უგრძნობლად ქუჩებში წაქცეულ ხალხს. ცხოვრება ქალაქში ძლიერ შესუსტდა, მაგრამ რათქმა უნდა არ შეწყვეტილა. ქუჩებში მოფენილი ასვალტი დნება და საშინელი „სულის შემხუთავი სუნით ქენთავს ჰაერს. პოლიციელები, რომლებიც აწარმოებენ მოძრაობის საქმეს ქალაქის ქუჩებში, პირდაპირ ეწებებიან ქვაფენილებზე.

ქუჩის ერთი კიდიდან მეორეზე გადამავალი მანდილოსნები ეწეპებიან ქვაფენილებს და იძულებული ხდებიან ჩა ტოვონ ფეხსაცმელები და ჩ ლქების ამარა გადავიდენ ქ ჩის მეორე ნაპირზე.

ქ. ვაშინგტონის ერთ-ერ ქუჩაში მოსხმულ ასვალტ ვილაც მასხრები ამზადებდ ერბოკვერცხს, რისთვისაც მ დასჭირდათ ათ წუთზე ნაკლე დრო.

ქალაქის ბაღები არ იკეტე მთელი ღამის განმავლობაშ და დღის სიცხით გაბოროტ ბული ხალხი აქ გრილდებია და სძინავთ ბალახებში. სახლი თავებზე ღამ-ღამობით მოფენ ლია აუარება ხალხი და სძ ნავთ. გუდზონი მთელი ღამე ბის განმავლობაში სავსეა მო ცურავე ხალხით.

ამერიკის ჰიგიენის კომ სარ მა გამოაქვეყნა რჩევა დარიგ ბანი თუ როგორ უნდა ებ ძოლონ და თავი დაიცვან უ ვეულ სიცხეებისაგან. ამ რჩ ვა დარიგებებში სხვათა შორი ნათქვამია შემდეგი: „რაც შე ძლება ბლომად სვით წყალ მაგრამ მხოლოდ წყალი. იმუ შაევთ ხალვათად, ნუ სჭამ ხორცს და იძინეთ რაც შეი ლება დიდ ხანს.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონის პარტ-ბიუროშ შემოსულია განცხადებები კომპარტიის კანდიდატად მიღებ შესახებ შემდეგი ამხანაგებისაგან:

1. ჯიქია ისიდორე ექვთიმეს-ძე, რიგის წით. ლაშქრელ ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის რაიონიდან.

2. ლომჟანიძე სტეფანე თედორეს-ძე, რიგის წით. ლა ქრელი, სიღნაღის მაზრა ერგეთის თემი.

3. სარჯველაძე ერმილე პორფილეს-ძე, რიგის წითელ ლაშქრელი, ოზურგეთის მაზრა, ჩიბათის თემი.

თუ ვინმეს მოეპოვება ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე უ რყოფითი მხარეების ცნობები მათი პარტიაში მიღების შეს ხებ, გთხოვთ გვაცნობოთ მესამე ქართულ მსრ. ლეგიონი პარტბიურო-კოლექტივში ერთი კვირის განმავლობაში დღი დან გაზეთში გამოცხადებისა.

## ჩვენი ფოსტა.

ამხ. **ბატაუაშვილს** წერილი „ოზურგეთის ათასეულის ცხო რებაზე“ არ გავა.

ამხ. **კოპლატაძეს** თქვენი წერილი „წიგნების დამტარებელ აქტივი“ მანამ არ დაიბეჭდება, სანამ არ მოიწერები თუ რა ფუნქციებს ასრულებენ ეს აქტივისტები.

ამხ. **ბაშელს.** კორესპონდენცია „ასეთებს ადგილი არ უნ ჰქონდეს“ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

ამხ. **გეზს.** კორესპონდენცია დაფიქრებით წერის შესახებ ა გავა. სწერეთ ნაწილის ცხოვრებაზედ.

ამხ. **მარგიშვილს.** წერილი კომუჯრედის ცხოვრების შეს ხებ არ გამოდგა. მოგვაწოდეთ უფრო ფაქტიური ხასი თის მასალები.

ამხ. **რუსპიელს.** თქვენი წერილი მეხუთე ლეგიონის ცხო ვრებაზე არ გამოდგა.

ამხ. **შ. მღვდელაძეს,** თქვენი კორესპონდენცია მეოთხე ლე გიონში ცვალებად შემადგენლობის მოსვლის შესახ დაგვიანებულია.

ამხ. **ბოგველს,** წერილი „ესეც დიდი ნაკლია“ არ გამოდგა

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.